ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3297319

ნომერი: AR1504358

თარიღი : 17.05.2017

გაცემის თარიღი : 01.06.2017

გაცნობის თარიღი : 09.06.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარნეული , N 37 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მარნეული , N 37 , (ნაკვ. 22/004) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მურმან ისაევი პ/ნ 01025007733
- თბილისი, კრწანისის ქ. კორპ 3-ა, ბ.24

ორგანიზაცია:
- შპს ემბავუდ ჯორჯია კოდი: 204379975

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 27 მარტის №3164927 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 17 მაისის №AR1504358 განაცხადი ამავე სამსახურის 2017 წლის 27 მარტის №3164927 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილების თაობაზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 27 მარტის №3164927 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - კრწანისი, მარნეულის ქუჩა, N37/ ქ. თბილისი, ქუჩა მარნეული, N37, (ნაკვ. 22/004)-ში, შპს "ემბავუდ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ № 01.18.12.022.038), საწყობისა და დამხმარე შენობა-ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 28 მარტიდან 2017 წლის 28 ივნისის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს "ემბავუდ ჯორჯია" . (ID ნომერი: 204379975).

წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 27 მარტის №3164927 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის მესაკუთრის - შპს „ემბავუდ ჯორჯიას“ დირექტორის შაჰმარ ქაზიმოვის დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია -№882016800451; მომზადების თარიღი: 18/11/2016) მიხედვით ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, მარნეულის ქუჩა, №37/ ქ. თბილისი, მარნეულის ქუჩა, №37-ში (ნაკვ. 22/004) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: №01.18.12.022/038) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "ემბავუდ ჯორჯია". მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხ. რეგისტრაცია - B17017017, მომზადების თარიღი: 10/02/2017) შპს "ემბავუდ ჯორჯია"-ს დირექტორია შაჰმარ ქაზიმოვ (P3558006).

სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამსახურის 2017 წლის 27 მარტის №3164927 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს "ემბავუდ ჯორჯია" . შესაბამისად შპს "ემბავუდ ჯორჯია"-ს ხელმძღვანელობის შეცვლა არ წარმოადგენს სამსახურის 2017 წლის 27 მარტის №3164927 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია 2017 წლის 27 მარტის №3164927 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილების შესაძლებლობას.